როდესაც მიცვალებულს ასვენებენ (სამგლოვიარო საკაცეზე) და მამაკაცები მას თავიანთ მხრებზე მიაქანებენ, თუ ის იყო მართალი, იტყვის: "დამაჩქარეთ წინ!

აბუ სა'იდ ალ-ხუდრი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «როდესაც მიცვალებულს ასვენებენ (სამგლოვიარო საკაცეზე) და მამაკაცები მას თავიანთ მხრებზე მიაქანებენ, თუ ის იყო მართალი, იტყვის: "დამაჩქარეთ წინ!" ხოლო თუ ის არ იყო მართალი, იტყვის: "ვაი მე! სად მიმაქანებთ?“ მის ხმას ყველა გაიგონებს, გარდა ადამიანისა, და რომ ადამიანს ეს გაეგონა, უგონოდ დაეცემოდა».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვაუწყა, რომ როცა ჯანაზას დროს – მიცვალებული საკაცეზე დაიდება და ადამიანები მას მხრებით წაიღებენ, თუ ის მართალი იყო, იტყვის: „წინ წამიყვანეთ!“ – რადგან ის ხედავს მის წინ არსებულ ნეტარებას, ხოლო თუ არ იყო, შემზარავი ხმით იყვირებს: „ვაი მას! სად მიმაქანებენ?“ – რადგან წინ ხედავს წამებას, მის ხმას ყოველი არსება ისმენს, გარდა ადამიანისა, და თუ ადამიანი ამას გაიგონებდა, უგონოდ დაეცემოდა იმ სიმძიმის გამო, რაც მოისმინა.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/3554